

მაია თევზაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბარიერები ინტერკულტურულ კომუნიკაციაში

ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის აუცილებელია, რომ გზავნილის (მესიჯის) გადამცემიც და მიმღებიც მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა კულტურებს. ასევე აუცილებელია კომუნიკაციის მონაწილეებს აღქმული ჰქონდეთ ერთმანეთის კულტურული განსხვავებულობა, რასაც მივეყვართ ურთიერთობის გარკვეულ სირთულეებამდე, რომლებიც დაკავშირებულია განსხვავებებთან მოლოდინებსა და წინასწარ განწყობებში, რაც განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში, ვინაიდან მათ წარმომადგენლებში განსხვავებულად მიმდინარეობს მიღებული ინფორმაციის გაშიფვრის პროცესი. ყველაფერი ეს მნიშვნელოვანი ხდება კომუნიკაციის აქტის დროს და მივეყვართ გაუგებრობებსა და დაძაბულობასთან, სირთულეებთან და ხშირად კომუნიკაციის დამყარების ან გაგრძელების შეუძლებლობასთან.

ფართო მნიშვნელობით ბარიერები განისაზღვრება როგორც პრობლემები, რომლებიც ჩნდება კომუნიკაციის პროცესში და ხელს უშლის მას, ამცირებს მის ეფექტურობას.

ინტერკულტურულ კომუნიკაციაში გამოიყოფა ექვსი ტიპის ბარიერი: 1. მსგავსების ვარაუდი (ადამიანები თვლიან, რომ ყველა ერთნაირები არიან); 2. ენობრივი განსხვავებები (ადამიანები ფიქრობენ, რომ სიტყვებსა და ფრაზებს აქვთ მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომლის გადმოცემაც მათ უნდათ); 3. არავერბალური ქმედებების მცდარი ინტერპრეტაციები; 4. სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გავლენა; 5. გაუცნობიერებელი სწრაფვა, რომ მოხდეს ყველა უცნობი კულტურული გამოვლენის შეფასება; 6. შფოთვა და დაძაბულობა პარტნიორის ქცევის გაურკვეველობის გამო ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს (3).

არსებობს სხვაგვარი აზრიც, რომ ინტერკულტურული კომუნიკაციის ბარიერები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: გაგების ბარიერები და ურთიერთობის ბარიერები. პირველი შეიცავს ფონეტიკური, სემანტიკური, სტილისტური, ლოგიკური, სოციალურ-კულტურული ტიპის ბარიერებს, ხოლო მეორე – ტემპერამენტს, რისხვას, შიშს, სირცხვილს, ზიზღს, სიძულვილსა და კიდევ სხვა განცდებს.

კომუნიკაციის ბარიერების კლასიფიკაციის საფუძველად ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს გამოვიყენოთ არსებული დაბრკოლების ტიპი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება საუბარი კომუნიკაციის ტექნიკურ, ფსიქოლოგიურ, ფსიქო-ფიზიოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ – ნაციონალურ ბარიერებზე (2). ადამიანთა უმრავლესობა ხელმძღვანელობს გულუბრყვილო რეალობის პრინციპით. მათ მიაჩნიათ, რომ საკუთარი ცხოვრების სტილი, მანერა და ღირებულებები არის ერთადერთი შესაძლებელი და სწორი, რომლებზეც ისინი აკეთებენ სწორებას.

როდესაც ერთმანეთთან კომუნიკაციაში შედიან სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები, ერთმანეთს ეჯახება განსხვავებული მსოფლმხედველობები, კომუნიკაციის პარტნიორები ვერ აცნობიერებენ ამ განსხვავებებს, საკუთარ სამყაროს ხატს თვლიან აბსოლუტურად ნორმალურად და შედეგად ერთი მხარის რაღაც აბსოლუტურად ცხადი და ნორმალური ხვდება მეორე მხარის რაღაც აბსოლუტურად ცხადსა და ნორმალურს. თავდაპირველად ორივე მხარე ხვდება, რომ რაღაც სულ მთლად ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. ცდილობენ რა, რომ ახსნან სიტუაცია, არც ერთი მხარე არ აყენებს ეჭვქვეშ თავის „რაღაც“ აბსოლუტურად ცხადსა და ნორმალურს,

კიდევ უფრო მეტიც, ფიქრობს, რომ მისი პარტნიორი არის სულელი, უფიცი, ან აქვს რაიმე ბოროტი განზრახვა. სწორედ აქ ჩნდება წარმოდგენა „უცხოზე“, რომელიც ხდება კიდევ ინტერკულტურული კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ცნება. „უცხო“ აღიქმება, როგორც არა აქაური, უცხოური, ჯერ კიდევ უცნობი და უჩვეულო. ამ ტიპის შეფასებით მსჯელობას უწოდებენ, როგორც წესი, ეთნოცენტრიზმს.

უფრო ხშირად ეთნოცენტრიზმი გულისხმობს, რომ საკუთარი კულტურა ბევრად აღემატება სხვა კულტურებს და ამიტომ იგი ფასდება როგორც ერთადერთი სწორი, აღმატებული სხვებზე. ყველაფერი, რაც არ გამოდინარეობს საკუთარი კულტურის ნორმიდან, ჩვეულებებიდან, ფასეულობათა სისტემიდან, ადათიდან, ქცევის ტიპებიდან, აღქმულია როგორც არასრულფასოვანი და კლასიფიცირდება, როგორც არასრულყოფილი საკუთარ კულტურასთან მიმართებაში. ეთნოცენტრიზმი ნიშნავს, რომ სხვა, უცხო კულტურათა ღირებულებები განიხილება და ფასდება საკუთარი კულტურის თვალსაზრისით.

კულტურათაშორისი ბარიერების ტიპები განისაზღვრება ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში ოთხი ძირითადი სფეროს არსებობით, რომელთა ფარგლებშიც ადგილი აქვს მონაწილეების კომუნიკაციას: ენობრივი, ეთნოკულტურული, კომუნიკაციური და ფსიქოლოგიური (1). აქედან გამომდინარე, გამოიყოფა კულტურათაშორისი ბარიერების ოთხი ძირითადი ჯგუფი: ენობრივი, ეთნოკულტურული, კომუნიკაციური და ფსიქოლოგიური. ყოველი ჯგუფი ხასიათდება თავისი სპეციფიკური მახასიათებლებით და ამიტომ მათ დასაძლევად არ არსებობს ერთიანი უნივერსალური ხერხები.

კომუნიკაციის ლინგვისტური საშუალებების ფართო არსენალიდან უნდა შეგვეძლოს იმის ამორჩევა, რომელიც არის ყველაზე ადეკვატური კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციისათვის.

ძალიან ხშირად ინტერკულტურული კომუნიკაციის სიტუაციებში ვლინდება, რომ ყველა მონაწილეს არა აქვს ენობრივი ცოდნის ერთნაირი მოცულობა, რაც იწვევს ე.წ. „ენობრივ ბარიერებს“, რომლებიც მიღებულია დაეყოს სამ ძირითად ტიპად: სტილისტიკური, სემანტიკური და ფონეტიკური. სტილისტიკური ბარიერები გამოიხატება კომუნიკანტების ენობრივი სტილების შეუსაბამობაში, როდესაც კომუნიკაციის დროს ხდება პარტნიორისათვის გაუგებარი სპეციალური ტერმინების გამოყენება.

სემანტიკური ბარიერები ჩნდება კომუნიკაციაში გამოყენებული სიმბოლოსა და ტერმინისადმი არასწორი მნიშვნელობის მინიჭების დროს, როდესაც მრავალ ენაში ისინი პოლისემურია და კომუნიკაციაში შეიძლება იყოს გამოყენებული განსხვავებული მნიშვნელობებით. როდესაც კომუნიკანტები ცდილობენ ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელსაც სრულყოფილად ვერ ფლობენ, მათ ხშირად ჰგონიათ, რომ ტერმინებსა და ფრაზებს აქვთ მხოლოდ ერთი მნიშვნელობა, ის, რომელიც მათ ჩადეს მოცემულ სიტყვაში. ამგვარად ისინი იგნორირებას უკეთებენ სხვა მნიშვნელობებს და ქმნიან კომუნიკაციურ პრობლემებს.

რაც შეეხება აღქმის ფონეტიკურ ბარიერებს, ისინი ჩნდება ბგერების არასწორი წარმოთქმის დროს.

ენობრივისაგან განსხვავებით, კომუნიკაციის ეთნოკულტურული ბარიერები დაფუძნებულია პარტნიორების სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ განსხვავებებზე. აქ მთავარი მიზეზი არის ერთ-ერთი კომუნიკანტის მიერ სხვისი კულტურის ცუდად ცოდნა.

კომუნიკაციური ქცევა დამოკიდებულია სხვადასხვა ხასიათის უამრავ ფაქტორზე: მონაწილეების სოციალური მდგომარეობა, ურთიერთობის კონტექსტი, არავერბალური საშუალებების არჩევა, კომუნიკაციური დისტანციის ზომა და ა.შ., რომლებიც სხვადასხვა კულტურაში, როგორც წესი, განსხვავებულია.

ერთ-ერთი ყველაზე ძნელად დასაძლევი ბარიერი არის უპატივცემულობა სხვისი შეხედულებებისადმი, არა ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა კულტურის ნორმებისადმი.

ეთნოკულტურული ბარიერები ხშირად განპირობებულია სოციალური ფაქტორებით. თუ ინტერკულტურული კომუნიკაციის პარტნიორებს აქვთ მსგავსი სოციალური მახასიათებლები, სოციალური ცხოვრებისეული გამოცდილება, მაშინ ასეთი ტიპის მახასიათებლები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ ურთიერთგაგებას. მაგრამ, ხშირად პარტნიორებს აქვთ სხვადასხვა სოციალური მახასიათებლები და სოციალური გამოცდილება. ასეთ შემთხვევაში საკუთარი გამოცდილება უფრო ფასობს, ვიდრე სხვისი და ამიტომ უცხო კულტურასთან შეხვედრის დროს ადამიანები ინტუიციურად ხელმძღვანელობენ საკუთარი გამოცდილებით, რაც ამცირებს და ართულებს პარტნიორების ურთიერთგაგებას.

ინტერკულტურული კომუნიკაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კომუნიკაციური ბარიერების ეფექტური დაძლევა მიიღწევა ურთიერთობის ტაქტიკური ხერხების ადეკვატური არჩევის გზით. უმთავრესად აუცილებელია თავდაპირველადვე ურთიერთობის ოპტიმალური ფორმის არჩევა, რადგან სწორედ კომუნიკაციის პროცესის დაწყება განსაზღვრავს საბოლოო შედეგს.

ინტერკულტურული კომუნიკაციის ბარიერების განსაკუთრებულ ტიპად მიჩნეულია ფსიქოლოგიური ბარიერები, რომლებიც წარმოადგენს ფსიქოლოგიურ რეაქციებს უცხო კულტურის ამა თუ იმ გამოვლენაზე. ქცევის უჩვეულო მანერებს, მსჯელობის ლოგიკას, ურთიერთობის დისტანციის დარღვევას, ტანსაცმლის ტიპებს და ა.შ. შეუძლიათ გამოიწვიონ პარტნიორისა და მთელი კულტურის მიმართ ნეგატიური ემოციები, რასაც შეიძლება მოჰყვეს წარუმატებლობა კომუნიკაციაში. ამ შემთხვევაში სუბიექტს უნდა დაბნეულობა, დაურწმუნებლობა საკუთარ თავში იმის გამო, რომ არ შეუძლია წინასწარ გამოიცნოს კომუნიკაციის პროცესის მსვლელობა და მისი შედეგი.

კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ბარიერების დაძლევისათვის კომუნიკანტებს უნდა ჰქონდეთ უნარი, რომ მოხსნას ზედმეტი დაძაბულობა, სწორი ემოციური განწყობა შექმნან კომუნიკაციის სიტუაციის მიმართ, აირჩიონ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ადეკვატური ფორმები.

ინტერკულტურული კომუნიკაციის ბარიერების დაძლევის ძირითადი საშუალება არის პარტნიორის კულტურათაშორისი წიგნიერების ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს მის ადეკვატურ ორიენტაციას კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრაქტიკულ სიტუაციებში.

ლიტერატურა:

1. Herve Collet, Communiquer. pourquoi, comment? Le guide de la communication sociale. CRIDEC Editions, Paris, 2004.
2. Maddalena de Carlo, L'interculturel. CLE international, Paris, 1998.
3. Психология и культура. Под редакцией Дэвида Мацумото. Питер, 2003.

**მაია თევზაძე
ბარიერები ინტერკულტურულ კომუნიკაციაში
რეზიუმე**

ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს ხშირად აქვს ადგილი გარკვეულ სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია განსხვავებულ მთავრობებთან და წინასწარ განწყობებში, კულტურებში, რომელთა წარმომადგენლებში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს მიღებული ინფორმაციის გაშიფრვის პროცესი. ყოველივე ამას მიყვავართ გაუგებრობებსა და

დაძაბულობასთან, სირთულეებთან და ხშირად კომუნიკაციის დამყარების ან გაგრძელების შეუძლებლობასთან. აღნიშნული პრობლემის დაძლევის ძირითადი საშუალება არის პარტნიორის კულტურათაშორისი წიგნიერების ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს მის ადეკვატურ ორიენტაციას კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრაქტიკულ სიტუაციებში.

Maya Tevzadze
Difficulties in the Process of Intercultural Communication
Summary

In the process of intercultural communication difficulties concerning differences in expectations and attitudes, which vary across cultures, are quit common. In these cultures information processing has various forms. Therefore this usually leads to misunderstanding, tension, difficulties and in many cases inability to impose or continue communication. The main way to overcome this problem is to increase the intercultural literacy, which will facilitate its adequate orientation in practical situations of intercultural communication.

Ломакина Ольга Валентиновна

доктор филологических наук,

доцент кафедры современного русского языка

Православного Свято-Тихоновского гуманитарного университета,

доцент кафедры иностранных языков

Российского университета дружбы народов (Москва, Россия)

Фразеология в контексте: основная проблематика российских исследований

Языковые единицы, в том числе фразеологизмы, пословицы, крылатые выражения, реализуют своё значение в контексте. Рассмотрение контекстуального употребления позволяет выявить все смысловые нюансы при употреблении фразеоресурсов языка, характеризуя авторские предпочтения.

Исследованию контекстуального употребления фразеологических единиц (ФЕ) посвящены работы Н.Н. Амосовой, В.Л. Архангельского, В.П. Жукова, А.В. Кунина, О.В. Ломакиной, А.М. Мелерович, В.М. Мокиенко, М.Т. Тагиева и др. (3), (9), (14), (15), (22) (24).

Охарактеризуем наиболее значимые, на наш взгляд, положения.

В.Л. Архангельский, упоминая предложенный Н.Н. Амосовой контекстологический метод, при использовании устойчивых фраз выделяет устойчивые фразы (УФ), зависимые от типового контекста речи и определённой ситуации, и УФ, свободно употребляемые в речи. На этом основании была разработана следующая классификация: 1) контекстуальные УФ, 2) ситуативные УФ, использование которых зависит от типовых ситуаций речевого общения (4, 251-254).

Продолжая идеи Н.Н. Амосовой и перенеся их на фразеологию английского языка, А.В. Кунин обращает внимание на такие признаки ФЕ, как раздельнооформленность и устойчивость, наличие которых объясняет склонность ФЕ к варьированию, проявляющемуся в контексте. Вслед за В.И. Кодуховым А.В. Кунин предлагает разделять контекст функционирования и контекст порождения. Под контекстом он понимает «отрезок текста, вычленяемый и объединённый языковой единицей или речевой единицей, могущей перейти в языковую, которые детерминированы актуализатором при узуальном или окказиональном использовании», а под фразеологическим